საქართველოსგანათლებისადამეცნიერებისსამინისტრო

ქუთაისის უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ეკონომიკის დეპარტამენტი

დამტკიცებულია აკადემური საბჭოს სხდომაზე
ოქმი #3, “9” “ივნისი” 2011 წელი

რექტორი: ლ.ქელბაქიანი

# Minor პროგრამა

## ბიზნესის ადმინისტრირება

ქუთაისი2011

**საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:**

ბიზნესის ადმინისტრირება

**უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური:**

ბაკალავრიატი

**სწავლების ენა:**
ქართული

**პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:**
სრული ზოგადი განათლების ატესტატი, ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ქართული ენის, ზოგადი უნარების, უცხო ენისა და ნებისმიერი მეოთხე არჩევითი საგნის წარმატებით ჩაბარება და ქუთაისის უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის მოპოვება, და ძირითადი პროგრამის ფარგლებში დისციპლინაში „შესავალი ეკონომიკასა და ბიზნესში" დადებითი შეფასების მიღება.

**პროგრამის მოცულობა:**
პროგრამის საერთო მოცულობაა 60 კრედიტი, ანუ 1500 საათი

**პროგრამის ზოგადი მიმოხილვა:**

საქართველოში საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბების კვალდაკვალ ორგანიზაციათა ეფექტიანობის ამაღლების მიზნით ძალიან მნიშვნელოვანია ბიზნესისათვის პროფესიონალი კადრების მომზადება. ბიზნესორგანიზაციები წამყვან როლს ასრულებენ საზოგადოებასა და ეკონომიკაში: ისინი უზრუნველყოფენ საზოგადოებას საქონლითა და მომსახურებით; ქმნიან სამუშაო ადგილებს და უზრუნველყოფენ საზოგადოებას განვითარების პირობებით; იხდიან გადასახადებს, რომელიც ხმარდება მთელ რიგ სოციალურ პროექტებს; ახდენენ საკუთარი მოგების რეინვესტირებას ეკონომიკაში და ამით ამაღლებენ მთელი საზოგადოების ცხოვრების დონესა და ხარისხს. ამდენად ბიზნეს-განათლების პროგრამების ამოცანას წარმოადგენს იმ ადამიანების პროფესიონალური განათლება და მომზადება, რომლებიც საბაზრო ეკონომიკის პირობებში ქმნიან, ხელს უწყობენ და მართავენ ორგანიზაციებსა და მიზნად ისახავენ ეფექტიანობის და/ან მოგების მიღებას, მათთვის მისაღები შემოსავლიანობის, ვადიანობისა და რისკიანობის პირობებში.

**„ბიზნესის ადმინისტრირების" Minor პროგრამის ძირითადი მიზანი:**
პროგრამის მიზანია სტუდენტმა მიიღოს როგორც თეორიული ცოდნა სხვადასხვა დისციპლინებში, ასევე პრაქტიკული უნარ-ჩვევები, რაც თანამედროვე ცვალებად და მოუქნელ შრომის ბაზარზე მისი კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელ ძირითად ფაქტორად, მისი პროფესიული დამკვიდრების უმთავრეს ბერკეტად იქცევა, მოამზადოს ისეთი სპეციალისტი, რომელიც შეძლებს ბიზნეს-პროცესებისა და ორგანიზაციების ეფექტიან ადმინისტრირებას და რომელსაც საფუძვლიანად აქვს შესწავლილი მმართველობითი საქმიანობის თეორიული და პრაქტიკული ასპექტები, აქვს პროფესიული კარიერისათვის აუცილებელი ცოდნა და უნარ-ჩვევები, რაც აუცილებელია თანამედროვე

კონკურენტუნარიანი კომპანიის მართვის დროს ეფექტური გადაწყვეტილებების მიღებისათვის, მოამზადოს სპეციალისტი, რომელსაც შესწევს უნარი მოახდინოს ბიზნესის ფინანსური მეურნეობის ეფექტიანი წარმართვა, ბიზნესორგანიზაციის გარემოს გაანალიზება და ადექვატური ფინანსური გადაწყვეტილებების მიღება, ბიზნესის ფუნქციონალური სფეროების - საფინანსო და საკრედიტო ურთიერთობების - ინსტრუმენტების მიზანმიმართულად გამოყენება, კომპანიათა მსოფლიო ბაზარზე გასვლის ფინანსური სტიმულირების შესაძლებლობების დამუშავება, მოამზადოს სპეციალისტი, რომელიც იცნობს თანამედროვე სააღრიცხვო-საანალიზო თუ საკონტროლო საქმიანობის ყველა ასპექტს და პრაქტიკულ საქმიანობაში მათი ეფექტურად გამოყენება შეეძლება.

**სწავლის შედეგები:**

**ცოდნა და გაცნობიერება**

- ფლობს ბიზნესისა და მენეჯმენტის საფუძვლებს. გააჩნია ორგანიზაციის,მისი გარემოსა და მათი მართვის თეორიების, კონცეფციებისა და ძირითადი პრინციპების ცოდნა;
- გააჩნია ბიზნესის ფუნქციონალური სფეროების: ზოგადი მენეჯმენტის, პროექტების მართვის, მარკეტინგისა და გაყიდვების, კადრების მართვის, ფინანსებისა და ბუღალტერიის ცოდნა და აცნობიერებს მათ ურთიერთზემოქმედებას;

**ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი**

კურსდამთავრებულები შეძლებენ:

-შეისწავლონ ორგანიზაციის ფუნქციები და მასზე მოქმედი ძირითადი კომპონენტების ზეგავლენის ეფექტები და გაიგონ თუ როგორ არიან ისინი ურთიერთდამოკიდებული და როგორ ზემოქმედებენერთმანეთზე;

– გააცნობიერონ და ჩაწვდნენ მენეჯმენტის გლობალურ როლსა და მიზნებს ორგანიზაციაში;

- აღწერონ ბიზნეს საქმიანობის ძირითადი მიმართულებები, თავისებურებები და პერსპექტივები; ურთიერთობა რისკსა და პოტენციურ მოგებას შორის უცხოურ ბაზრებზე შესვლის დროს;

კურსდამთავრებულს გამომუშავებული ექნება:

- ძირითადი მარკეტინგული უნარები: მარკეტინგული მონაცემების მოგროვება, ანალიზი, ბაზრის შესაძლებლობების განსაზღვრა და შესაბამისი ქმედებების განხორციელება და სხვა;

**დასკვნის უნარი**

შეუძლია ბიზნესის სფეროსათვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება და განმარტება, ასევე განყენებული მონაცემებისა და /ან სიტუაციების ანალიზი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება; შეუძლია ახალი ინფორმაციის მიღება და გადამუშავება

**კომუნიკაციის უნარი**

შეუძლია იდეების, არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის სპეციალისტებისა და

არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემა, შესაბამისი დარგის სპეციალისტებთან დისკუსიაში მონაწილეობის მიღება;

საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისგამოყენება.

შეუძლია ელექტრონულ დოკუმენტებთან, ელექტრონულ ცხრილებთან, პრეზენტაციებთან, მონაცემთა ბაზებთან მუშაობა.

**სწავლის უნარი**

შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა, შეუძლია დამოუკიდებლად, ლიტერატურის გამოყენებით აიმაღლოს ცოდნა, დამოუკიდებლად მუშაობს დარგობრივ სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურასთან.

**ღირებულებები**

მონაწილეობს ბიზნესის სფეროსა და საზოგადოდ ეთიკური ღირებულებების ფორმირების პროცესში. ეფექტიანად ურთიერთობს სამუშაო/სასწავლო ჯგუფში, გამომუშავებული აქვს პრობლემების ამოცნობის, გააანალიზების, შესაბამისი გადაწყვეტილებების შერჩევისა და დაცვის უნარი საფინანსო ინსტიტუტებში, საბუღალტრო აღრიცხვაში, ადამიანური რესურსების მენეჯმენტსა და მარკეტინგში. აცნობიერებს სამართლებრივი, ეთიკური და კროსკულტურული პასუხისმგებლობის როლს ორგანიზაციაში და საზოგადოებაში.

**დასაქმების სფეროები**

ბიზნესის ადმინისტრირების minor პროგრამას უნივერსიტეტი ეკონომიკის ძირითადი პროგრამის ფარგლებში თავაზობს მსურველებს, ამდენად აღნიშნული პროგრამით გათვალისწინებული საგნების შესწავლა გააძლიერებს სტუდენტთა ძირითადი სპეციალობით მისაღწევ კომპეტენციებს, რაც ერთობ გაზრდის მათ კონკურენტუნარიანობას შრომის ბაზარზე და წარმატებული კარიერის ფორმირების საფუძველი გახდება.

**სწავლების მეთოდები**

პროგრამით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევისათვის გამოყენებული იქნება სწავლებისადასწავლისთანამედროვე მეთოდები, რაც დეტალურად გაწერილია უნივერსიტეტის დიდაქტიკურ კონცეფციაში. დამოუკიდებელი, კონკურენტული და თანამშრომლობითი სწავლების გზით სტუდენტთა ინტერაქციის ორგანიზება, მათი მიზანმიმართული ვარირებით სასწავლო პროცესის დაგეგმვა განაპირობებს მოტივაციის ამაღლებას, ცოდნის ათვისების ეფექტიანობას და სოციალური უნარ-ჩვევების განვითარებას. ამასთან ერთად, სასწავლო პროცესის დაგეგმვაც უფრო მრავალფეროვნად, სახალისოდ, საინტერესოდ (ცოდნის ათვისების ხარისხი, კრიტიკულად გააზრება) და მრავლისმომცველად (უნარ-ჩვევების გამომუშავება,მეტი ინფორმაციის დაფარვა) შეიძლება. ტრადიციული ლექციების კვალდაკვალ გამოყენებულ იქნება პრაქტიკული მეცადინეობები, სამუშაო ჯგუფები, პროექტები, შემთხვევების ანალიზი და სწავლების სხვა აქტიური მეთოდები.

**შეფასება**

შეფასება არის საგნის, მოვლენის ან პროცესის შესაბამისობის განსაზღვრა წინასწარ დადგენილ კრიტერიუმებთან. შეფასების საშუალებით უნდა დადგინდეს სტუდენტის მიღწევების შესაბამისობა პროგრამით დასახულ შედეგებთან, ამ მიზნით გამოყენებულ იქნება შეფასების ისეთი კრიტერიუმები, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია იმის დადგენა, რომ სტუდენტმა განავითარა ის უნარები, რომელიც აუცილებელია ბიზნეს კონტექსტში პრობლემების გადასაჭრელად, შეუძლიათ თუ არა წანამძღვრებისა და პირობების ფორმულირება, კვლევის საკითხის დასმა, ანალიზი, დასკვნებისა და რეკომენდაციების ჩამოყალიბება. შეუძლიათ თუ არა შესაბამისი ინსტრუმენტების გამოყენება, საკუთარი საქმის ორგანიზება და თავისი შედეგებისა და რეკომენდაციების გადაცემა და არგუმენტირება/დაცვა. შეფასება უნდა იყოს, როგორც შემაჯამებელი ხასიათის, ასევე მაფორმირებელი (უკუკავშირის მიმცემი).

შეფასების მიზანია ხარისხობრივად განსაზღვროს სტუდენტის სწავლის შედეგები აკადემიური პროგრამის მიზნებთან და პარამეტრებთან მიმართებით.

შეფასების სტრუქტურა, საგნის ფარგლებში, ორ ელემენტად იყოფა - შუალედური და შემაჯამებელი. შუალედური ელემენტი შეიძლება დაიყოს კომპონენტებად, რომლებსაც, აგრეთვე, თავისი წილი აქვს ამ ელემენტის ფარგლებში.

ყოველი კონკრეტული შეფასება ორივე ელემენტის ჯამურ შედეგებს ეყრდნობა.

შეფასების მინიმალურ დადებით ქულად ითვლება 51.

სტუდენტთა ცოდნის შეფასების ინსტრუმენტს წარმოადგენს გამოცდა. გამოცდამ უნდა აჩვენოს,თუ რამდენად კარგად აითვისა სტუდენტმა შესაბამისი კურსი.

უნივერსიტეტშიგამოცდები ტარდება მხოლოდ წერითი ფორმით.

**სტუდენტის საბოლოო გამოცდაზე დაშვების წინაპირობები:**

•დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა.

•რეფერატის (ესსეს) დაწერა/წაკითხვა, ნაშრომის მომზადება/პრეზენტაცია დასხვა. ეს ნიშნავს იმას, რომ, თუ სტუდენტს არა აქვს ჩაბარებული რეფერატი, ან კურსის ხელმძღვანელის მიერ მიცემული სხვა დავალება, ის არ დაიშვება ფინალურ გამოცდაზე, ვიდრე არ წარმოადგენს აღნიშნულ რეფერატს, იმ შემთხვევაშიც კი თუკი სხვა აქტივობების ჯამით უგროვდება დასკვნით გამოცდაზე დაშვებისათვის საკმარისი ქულები.

•ქუ-ის შინაგანაწესისა და ხელშეკრულების პირობების დაურღვევლობა.

**შეფასების სისტემა**

შეფასება ხდება ქულათა სისტემით. ყოველი კომპონენტის (გარდა დასწრება-აქტივობებისა) მაქსიმალური შეფასება შეადგენს 100 ქულას.

სტუდენტის შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იყოს არა მხოლოდ მის მიერ უშუალოდ დამამთავრებელ გამოცდაზე მიღწეული წარმატება, არამედ მთელი კურსის დროს ნაჩვენები შედეგები.

საკრედიტო შეფასებათა სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი - ნიშანი A (ფრიადი)

- მაქსიმალური შეფასების 81-90% - ნიშანი B (ძალიან კარგი)
- მაქსიმალური შეფასების 71-80% - ნიშანი C (კარგი)
- მაქსიმალური შეფასების 61-70% - ნიშანი D (დამაკმაყოფილებელი)
- მაქსიმალური შეფასების 51-60% - ნიშანი E (საკმარისი)

არსებობს ორი უარყოფითი შეფასება:

- მაქსიმალური შეფასების 41-50% - ნიშანი FX (ვერ ჩააბარა), რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 დღისა, მაგრამ არაუმეტეს 1 თვის.
- მაქსიმალური შეფასების 41% და ნაკლები - ნიშანი F (ჩაიჭრა), რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

GPA გამოთვლის წესი

| GPA | ქულა |
|---|---|
| 4.0 | 91%-ზე მაღალი |
| 3.7 | 85 - 91% |
| 3.3 | 81 - 84.9% |
| 3.0 | 75 - 80.9 % |
| 2.7 | 71 - 74.9% |
| 2.3 | 61 - 70.9% |
| 2.0 | 51 - 60.9% |
| 1.7 | 41 -50.9% |
| 1.3 | 30 - 39.9% |
| 1.0 | 20 -29.9% |
| 0.0 | 0.0 -19.9% |

**GPA ინდივიდუალური კურსისთვის:**

GPA-ს მინიჭება ყოველი ინდივიდუალური სასწავლო კურსისათვის ხდება ზემოთ მოყვანილი ცხრილის საფუძველზე, მაგალითად თუ სტუდენტმა მიიღო 88 ქულა, მაშინ მისი GPA არის 3.7.

**როგორ გამოითვლება კუმულატიური (დაგროვილი) GPA?**

სემესტრის ან სასწავლო წლის ბოლოს სტუდენტის კუმულატიური GPA გამოითვლება ფორმულით.

**კუმულატიური GPA** = საერთო ქულათა ჯამი / ათვისებული კრედიტების ჯამი

საერთო ქულა = **ინდივიდუალური GPA** X **კურსის კრედიტი**

მაგალითად, ვთქვათ, აიღეთ ორი 3 კრედიტიანი სასწავლო კურსი და მათში შესაბამისად მიიღეთ 88 ქულა (GPA 3.7) და 78 ქულა (GPA 3.0), მაშინ კუმულატიური GPA ამ ორი კურსისთვის იქნება:

საერთო ქულათა ჯამი = (3.7 X 3კრ.) + (3.0 X 3კრ.) = 11.1 + 9.0 = 20.1

ხოლო **კუმულატიური GPA** = 20.1 / 6 = **3.33**

**მატერიალურ-ტექნიკური რესურსები**

უნივერსიტეტს გააჩნია საკმარისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად: აუცილებელი სასწავლო აუდიტორიები, ბიბლიოთეკა, აკადემიური პერსონალის სამუშაო სივრცე, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. შენობა- ნაგებობები აღჭურვილია პროგრამის შესაბამისი ინვენტარით.

**ადამიანური რესურსები**

1. მაღლაკელიძე დეზდემონა - ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,
2. ბაბუნაშვილი ეკატერინე - ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,
3. შანიძე გოდერძი - ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,
4. გურაბანიძე ვაჟა - ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,
5. ჭუმბურიძე გია - მოწვეული სპეციალისტი,
6. ახვლედიანი მაია - ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, მოწვეული სპეციალისტი,
7. სვანაძე სერგო - ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,
8. სხილაძე ეკატერინე - მოწვეული სპეციალისტი
9. კონჯარია ელგუჯა - ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,
10. იფშირაძე აზა - ქუ-ს დოქტორანტი, ასისტენტ-პროფესორი
11. ვალიშვილი თეა - ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასისტენტ პროფესორი,
12. კლდიაშვილი პაატა - დოქტორანტი, ასისტენტ-პროფესორი